ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302410177**
თარიღი: **10/04/2024**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N 37

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს, ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N 11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 მარტის N 14 განკარგულებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, დამატებით წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებულ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N 11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

გთხოვთ, განიხილოთ ზემოაღნიშნული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და დაამტკიცოთ წარმოდგენილი რედაქციით.

პატივისცემით,

ეკა გუჯაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2024 წლის აპრილი
ქ. ლანჩხუთი

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N 11 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 29/04/2022 წელი, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.112.016477) შევიდეს ცვლილება, კერძოდ: დადგენილების მესამე მუხლით დამტკიცებული N10 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დანართი N10

დადგენილება N

---------- ის სანებართვო პირობების დარღვევით მიმდინარე და უნებართვო მშენებლობის შეჩერების შესახებ

ქ. ლანჩხუთი ,,------" ------20--- წ.

საფუძველი: ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის" კოდექსის 127-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 20----- წლის N ------ შემოწმების აქტი:

1. ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ -------- მუხლის -------- ნაწილის საფუძველზე ---------- მიერ შეჩერებულ იქნეს მშენებლობა დარღვევის აღმოფხვრამდე.

2. დადგენილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაეცნოს ----------.

3. მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამშენებლო სამართალდარმღვევს, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრება ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის“ კოდექსის 136-ე მუხლის შესაბამისად. მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში სამშენებლო სამართალდარმღვევს დაეკისრება ,,საქართველოს სისხლის სამართლის“ კოდექსის 360[1]-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში. დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

ბ.ა“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**